

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის კრების ოქმი

ქ. თბილისი
23 მაისი, 2019

ესწრებოდნენ:

ნანა აბურჯანიძე - „ტელეკომპანია პირველი“-ს კომერციული დირექტორი;
გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების ხელმძღვანელი;
ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი.

დღის წესრიგი:

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ საჩივრის განხილვა.

მოისმინეს:

ნანა აბურჯანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პოლიტიკური პარტია თავისუფალი საქართველოს თავმჯდომარის კახა კუკავას საჩივარი ამ პარტიის ზესტაფონის მერობის კანდიდატის გიორგი წულაიას წინასაარჩევნო აქტოვობების არასათანადოდ გაშუქების შესახებ.

საჩივარი გამოგზავნილია 15 მაისს, არჩევნებამდე 4 დღით ადრე. შესაბამისად, საჩივარი არ ასახავს სრულ რეალობას. საჩივარი არ მიგვიღია ოფიციალური შეტყობინებით. საჩივრის ასლი მივიღეთ ელექტრონულ ფოსტაზე: info@tvpirveli.ge

კანონმდებლობა ტელეკომპანიას ავალდებულებს თანაბრად განაწილოს საეთერო დრო. დროის თანაბრად განაწილება კი არ ნიშნავს უკლებლივ ყველა წინასაარჩევნო აქტივობის გაშუქებას.

კომისიის წევრებმა ტელეკომპანიის არქივიდან გამოითხოვეს წინასაარჩევნო პერიოდში ზესტაფონის მერის არჩევნებთან დაკავშირებით საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალები, რომელთა გაცნობის მერე შეაჯამეს ფაქტობრივი გარემოებები დაადგინეს:

ზესტაფონის მერის არჩევნების გაშუქებისას, ტელეკომპანია პირველის საინფორმაციო გამოშვებებში გავიდა შემდეგი აქტივობები:

1. ქართული ოცნების კანდიდატის წარდგენა - ლაივ/სინქრონი (7 აპრილი);
2. „ძალა ერთობაშია“-ს კანდიდატის წარდგენა - ლაივ/სინქრონი (5 მაისი);
3. „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერის კახა კუკავას და კანდიდატ გიორგი წულაიას შეხვედრა ამომრჩევლებთან - ლაივ/სინქრონი (16 მაისი);
4. შემაჯამებელი სიუჟეტი ზესტაფონში ქართული ოცნების, გაერთიანებული ოპოზიციის და თავისუფალი საქართველოს კანდიდატების საარჩევნო კამპანიაზე (18 მაისი).

ამდენად, თვითრეგულირების კომისია თვლის, რომ ბალანსი საეთერო დროის განაწილებასთან დაკავშირებით სრულად არის დაცული.

დამატებით აღვნიშნავთ, რომ საჩივრის დანართში მოცემულია სატელეფონო მესიჯების ასლები, რითაც გიორგი წულაიას შტაბის წარმომადგენლები გვატყობინებენ, მათი ღონისძიებების შესახებ. სულ დანართში მოცემულია 5 ასეთი შეტყობინება, რომელთაგან

მხოლოდ ერთია გამოგზავნილი ტელეკომპანია პირველისთვის. ამასთან, შეტყობინება გაგზავნილია ტელეკომპანია პირველის საავტორო გადაცემის წამყვან დიანა ტრაპაიძესთან, რომელიც 2019 წლის თებერვლიდან აღარ იკავებს ტელევიზიაში საინფორმაციო სამსახურის მთავარი პროდიუსერის პოზიციას.

სამომავლოდ, კომუნიკაციის უკეთესად აწყობისთვის და ყოველგვარი დასანანი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ წარმომადგენლებს გვინდა ვთხოვოთ, რომ პირდაპირი კომუნიკაცია დაამყარონ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელთან და პროდიუსერებთან:

მათე კირვალიძე (ხელმძღვანელი) - 599500959
ნინო საყვარელიძე (პროდიუსერი) -599105115
თათია თუმანიშვილი (პროდიუსერი) - 597661010
თამარ ჯინჭარაძე (პროდიუსერი) -599912223
ნინო კვირიკაშვილი (პროდიუსერი) - 599361977

და ბოლოს, ვინაიდან ტელეკომპანია პირველს არ ჰყავს გადამღები ჯგუფები რეგიონებში, მათ შორის ზესტაფონის რაიონში, რის გამოც შეუძლებელი იქნებოდა ყველა წინასაარჩევნო აქტივობის გაშუქება, მივმართავთ თხოვნით პარტია „თავისუფალ საქართველოს“, რომ დროულად და პირდაპირ მოგვაწოდოს ხოლმე მათ ხელთ არსებული ყველა ვიდეო მასალა.

თვითრეგულირების კომისია, კიდევ ერთხელ უდასტურებს პატივისცემას პარტა „თავისუფალ საქართველოს“ და აცხადებს, რომ მათი პოლიტიკური აქტივობები შემდგომშიც გაშუქებული იქნება საკითხების აქტუალურობის და კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად.

ნანა აბურჯანიძე

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე